№ 57 9 თებათვესს, ოთხშაბათი 1866—1876 9 თებათვესს, ოთხშაბათი № 57

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგიულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში) მიიღება

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

ფასი ნახევარ წლისა— — — 4 მან. და 50 კაპ.
სამის თვისა— — — — 2 მან. და 50 კაპ.
ერთის თვისა — — — 1 მან. „ „ „

მთელი წლის ეგზემპლიარები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი კიდევ რედაქციაში და მსურველს ამ წლის გამოსული ნომრები ყველა ერთად გაეგზავნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“

ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

საქართველო

პირველი ნაბიჯი ჩვენი განკირებისა

ჯარგი სამახარობლო მერგება დღეს თქვენგან, მკითხველო, რადგანც მშვენერი „ახალი ამბავი“ მაქვს თქვენთვის სათქმელი. დღეის იქით ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება წარმატების ახალს პერიოდში შედიან. დღეის იქით ჩვენი ქვეყანა განაალებულ-აყვავებულ სახელმწიფოებს უდრის თავს და მათ ჩვეულებებს ეღირსება. დღეის იქით—ერთის მხრით ვაინც—ჩვენ ბერლინს და პარიჟს უკან არ ჩამოვრჩებით. ბიხაროდენთ, გავნათლდით! ბიხაროდენთ, მით უფრო, რომ ამ განათლების მიზეზი და საფუძველი ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები არიან, და ამ განათლების შემომღებნი—ჩვენი ახლათნაკურთხნი ფინანსისტები. მაგრამ სჯობს საქმე ლაგებით მოგახსენოთ.

×

ამას წინეთ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების მმართველებმა, უფ. ილ. ჭავჭავაძემ და ბეს. ლოლაბერიძემ, შეკიბეს თუთხმეტი თუ თექვსმეტი პირნი, ჩვენი უბედური ქართული მწერლობის და ჟურნალისტიკის ბედზე სხრუნველათ. მას აქეთ, რაც ქვეყანა დაფუძნებულა, მაგალითი არ ოფილა, ჯერ, რომ ქართული გაზეთის და ჟურნალის ბედზე მოსალაპარაკებლათ ამოდენა ხალხი შეკრებულიყოს.—ეს გახლავს პირველი ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გაელენისა ჩვენის საზოგადოების განათლებაზე.

×

ამ პატიოსან ყრილობაზე ყველაზე უფრო გულის გასახარელი ის იყო, რომ შიგ ყოველი წოდების და ხასიათის კაცნი ერიენ. თითქმის პირველად, მას აქეთ რაც ქვეყანა არსებობს, გეელირსა ჩვენ იმ მაგალითის ნახვა, რომ სამსახურის კაცი გვერდით უჯდა მწერალს, მწერალი—მეომარს, მეომარი—ბანკირს, ბანკირი — მასწავლებელს, მასწავლებელი—ადვოკატს, ადვოკატი — ქიმიკოსს, ქიმიკოსი—ცენზორს, ცენზორი—მიწის-მეპატრონეს და მიწის-მეპატრონე — ნოტარიუსს. დიდი და პატარა, ჭკვიანი და გიჟი, სწავლული და უმეცერი ყველანი ერთს მიზანს სდევნიდნენ, ერთს საქმეს ეკიდებოდენ. ყველას ერთი განზრახვა ჰქონდა, — „ჩვენი მწერლობის აღდგინება.“ ეს გახლავს მეორე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გაელენისა ჩვენის საზოგადოების განათლებაზე.

×

ყრილობის დამძახებლებმა ყრილობას კითხვა დაუდეს:—სასურველია თუ არა, რომ ჩვენში ისეთი „სოლიდნი“ და „სერიოზნული“ მიმართულების გაზეთი გამოდიოდეს, რომელსაც „მაღლა ეჭიროს ლიტერატურის დროშაო? უფ. ნიკო ლოლაბერიძემ, ნ. დადიანმა (ჭუთაისის ბანკის დირექტორმა), პ. უმიკაშვილმა, დ. ანჩაბაძემ, ალ. ჩოლაყაშვილმა და ყველა სხვამ (ყველას ხომ ვერ ჩამოთვლის კაცი) პასუხათ მოახსენეს: „რასაკვირველიაო.“ მას აქეთ რაც ქვეყანა არსებობს, ჩვენში პირველი მაგალითია, რომ რამე კითხვა და რამე საქმე ჩვენში ერთხმით, უდავოთ და უშფოთოთ გარდაწყვეტილიყოს. ეს გახლავს მესამე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გაელენისა ჩვენის საზოგადოების განათლებაზე.

×

მაშინ ყრილობის დამძახებლებმა ყრილობას მეორე კითხვა დაუდეს: —ახალი გაზეთის დაარსება სჯობს, თუ ისევ „დროების“ დახმარება და გაუმჯობესობაო? და როცა ერთს წევრს ეკითხა: „საშუალება გვაქვს განაო?“ დამძახებლებს ეთქვათ:

— საშუალება ჩვენ მზათა გვაქვს. ჩვენ დამზადებული გვაქვს ხუთასი თუმანი, რომლითაც ადვილად შეიძლება როგორც „დროების“ გაუმჯობესობა, ეგრეთვე ახალი გაზეთის დაარსება და ფეხზე დაყენება.

მას აქეთ, რაც ქვეყანა დაარსებულა, მაგალითი არ დასიზმრებია არავის, რომ არა თუ ხუთასი თუმანი, ხუთი გროშით შეწევნოდეს ვინმე ჩვენს გაზეთ-ჟურნალებს. ხუთასი თუმანი კი, ხომ, მართლაც, რომელს გაზეთსაც გნებავთ, სულს ჩაუდგამს. ეს გახლავს მეოთხე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გაელენისა ჩვენის საზოგადოების განათლებაზე.

×

რაკი ყრილობას შეუტყვია, ხუთასი თუმანი მზათ ჰქონიათ უფ. ბეს. ლოლაბერიძეს და ილ. ჭავჭავაძესო, იმ წამსვე დარდიმანდულათ გარდაუწყვეტია:—ეს ფულები „დროებას“ მოხმარდესო, იმ პირობით, რომ „დროება“ გაუმჯობესდეს და „სოლიდნი გაზეთი“ შეიქნესო. მას აქეთ, რაც ქვეყანა დაარსებულა, ჩვენში ასე ძვირათ არავის დაუფასებია გაზეთის და მწერლობის სამსახური, არავის არ გამოუჩენია იმისთანა სინიდისიანობა, რომ ეფიქროს—ამ კაცს (ან ჟურნალს) ათი წელიწადია ქვეყნისთვის უშრომნია, დაე, ისევ ამას დაეხმაროთ, ხუთს ახალს მეგობარს ერთი ძველი გვირჩევნოდესო. ეს გახლავს მეხუთე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გაელენისა ჩვენის საზოგადოების განათლებაზე.

×

მაშინ ყრილობას „დროების“ ახალი რედაქცია ამოურჩევია. ზოგს წინადაუდეეს — რედაქციას უწინდელურათ ოთხი პირი შეადგენდნენ: ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი და ილ. ჭავჭავაძეო. სხვებს უთქვამთ —არაო, რაკი ხუთასი თუმანი გვაქვს, ხუთასმა თუმანმა ახალი ტალანტები გამოიყვანოსო. და ახალ ტალანტებათ ამოურჩევიათ: დ. ჩქოტუა, ილ. ჭავჭავაძე, ბ. ჯაფარიძე და.... ს. მესხი, თუ კი ს. მესხი „დროებას“ ჩვენ გადმოგვცემსო.

მას აქეთ, რაც ჩვენი ქვეყანა დაარსებულა, ჯერ არავის იმის მაგალითი არ უნახავს, რომ ნიჭს ჩვენში ვინმე დახმარებოდეს. დღემდი ნიჭი ჩვენში იბრძოდა, იტანჯებოდა, ვერავისგან მხარის გამართვას ვერ ეღირსებოდა. საზოგადოება იმას ჯერ აგდებით დასცინოდა, მერმე ცილისწამებით სდევნიდა და ბოლოს, ოდესმე, ცოტოდნათ ყურს დაუგდებდა. დღეს კი ჩვენში ნიჭი პირდაპირ, სიტყვა ამოულებლათ, ხელის გაუნძრეველათ, თავის გამოუჩენლათ საზოგადო დახმარებას და ხელის-გაწყობას ეღირსა. ეს გახლავს მეექვსე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გაელენისა ჩვენის საზოგადოების განათლებაზე.

×

ამით გათავდა ყრილობა. ბარდაწყვიტეს კი დაშლამდინ, რომ ყრილობის გარდაწყვეტილობა წინადაუდგან უფ. მესხს (რომელიც ყრილობას არ დასწრებია), როგორც „დროების“ რედაქტორს, და სტ. მელიქიშვილს, როგორც ამ გაზეთის გამომცემელს.

×

ყრილობის მოთაეებმა, როცა ეს ამბავი „დროების“ რედაქტორს შეატყობინეს, სხვა რამეებიც ზედ დასძინეს: „ხუთასი თუმანი ხომ ხუთასი თუმანიაო, მაგრამ ეს გაზეთის სერმია იქნებაო.“ ამ ფულს გარდა სხვა ბეერიც გვექნებაო. სამოც-სამოც თუმანს თითოეული ბანკის მმართველი თავის წილათ შემოიტანს ყოველ წლობითო. ამას გარდა ორივე ბანკების გამოცხადებებიც სულ უკანასკნელი წელიწადში ას თუმანს მაინც მოგცემსო. მაშასადამე, ხუთასი თუმნის გარდა, ყოველ წლობით ორას ოცი თუმანი ნაღდი შემოსავალი ექნება ჩვენს გაზეთსო. დათანხმდიო!“

სად ხარ ეხლა, ბ. წერეთელო! იფიქრებდი განა შენ, იმ დროს, როცა „დროებას“ დღე და ღამ აკვდებოდი, და შიმშილის შიშით კერძო უროკებით თავს ირჩენდი, რომ „დროების“ რედაქტორს ოდესმე ბანკირები ამდენს ფულს მისცემდნენ? ეს გახლავსთ მეშვიდე ნიშანი და სხ.

×

საუბედუროთ, „დროების“ რედაქტორი, ს. მესხი, და გაზეთის გამომცემელი, სტ. მელიქიშვილი, არ დათანხმდენ და ჩვენს ბანკირებს ნებაზე არ დაყენენ. „არ შეჯდება წყერი ხესა, არ სჩვეია გვარი მისია,“ თქვა ს. მესხმა, და უარჰყო ტაბლასა მას, გამზადებულსა ბანკირებისა მათთაგან.

×

ჩემის მხრით კი, როცა ეს ამბები გავიგე, თავში ხელი ვირტყი და ვთქვი: „რათ მიკვირდა და რათ ვსწუხდი, რომ ბ. ლოლაბერიძის და ილ. ჭავჭავაძის მომხრენი თფილისის და ჭუთაისის ბანკების ყრილობებზე მმართველების ჯამაგირის მომეტებას ცდილობდნენ! რომ მცოდნოდა, რომ ეს მომეტებული ფული ჩვენს „მწერლობას“ მოხმარდებოდა, ხომ არც გაეიკვირებდი, არც შეესწუხდებოდი-მეთქი! და დავინახე ნათლათ, რომ ვიყავ შემცდარი, როცა ეფიქრობდი, რომ იმათ

პირადი სარგებლობის ანგარიში ამოქმედებდა.

×

მაშასადამე, რაკი „დროება“ ბანკის მმართველებს ხელიდიმ წაუვიდა, ჩვენს საზოგადოებას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ჩვენში ახალი გაზეთი დაიბადება, რომელიც „მაღლა ასწევს მწერლობის დროშას.“ ეს ფრიად სასურველი და საჭირო მოვლენა ჩვენ, რასაკვირველია, უნდა მივაწეროთ ბანკირების მეოხებას. და ეს გახლავს მერვე ნიშანი ჩვენი წარმატებისა და ჩვენი ბანკების გავლენისა ჩვენის საზოგადოების განათლებაზე.

×

ეხლა, მკითხველო, ირონია და ხუმრობა იქით მივაგდოთ, და ამ საგანზე პირდაპირ და პირუთვნელათ მოვილაპარაკოთ.

ნ. ნიკოლაძე

(შემდეგი იქნება)

დღიური

ძვირა დილას მოგვივიდა ჩვენ ლაგოდახიდამ ზაქათალის მაზრის უფროსის — უფ. შოლკოვნიკოვისაგან შემდეგი დეპეშა:

„ბუშინ ნაშუადღევის 2 საათზე ზაქათალას გაუჩნდა ცეცხლი და სამი საათის განმავალობაში მთელი ქალაქი და ბაზარი საქონლით გადიწვა, მცხოვრებლები უსახლ-კაროთა და ულუკმაპუროდ დარჩნენ. ამ გაჭირებაში თქვენგნით დახმარებას ვითხოვთ.“

ჩვენი მოძმეების გაჭირება ზნეობითს და ნივთიერ ვალდებულებას გვადევს, რომ რითაც შეგვეძლება დავეხმაროთ და ხელი მოუმართოთ. ვისაც უნდა, რომ სხვისგან შეწევნა და თანაგრძნობა მოიპოვოს, იმან, გაჭირების დღეს, ამ სხვასაც უნდა გამოუჩინოს თავის კეთილ გრძნობა და შეწევნა. აქ ცარიელი, მშრალი თანაგრძნობა და ტკბილი სიტყვები, არც მწუხარება საკმაო არ არის: ნივთიერი დახმარება უნდა.

ამის გამოჩვენ ვაცხადებთ ხელისმოწერას გადამწვარ ზაქათალის მცხოვრებთათვის და ვთხოვთ ყველას, ვისაც რითი შეუძლიან, და რამდენიც შეუძლიან გამოგზავნოს ამ უბედურ მცხოვრებლების სასარგებლოთ.

„დროების“ რედაქციას თავის მხრით, ამ თავით — 5 მანეთი შეუწირავს ზაქათალელებისთვის.

ყოველივე შენაწირი გაეგზავნება ზაქათალის მაზრის უფროსს უფ. შოლკოვნიკოვს, რომელიც თავის კეთილ-შობილობითა და სამართლიანობით მთელს ძაეკაზიაში გამოჩენილი და ქებული კაცია და რომელიც მაშასადამე სამართლიანათ მოიხმარს ამ ფულს; ჩვენ დაწვრილებით ანგარიშს წარუდგენთ მკითხველებს თითოეულ კაპეიკისას, რომელიც რედაქციაში იქნება ამ კეთილ საქმისთვის გამოგზავნილი.

იმედი გვაქვს, რომ ის საზოგადოება, რომელიც ასე გულ-წრფელად დაეხმარა 1872 წელს, სიღნაღის შიმშილისაგან შევიწროებულ ხალხს, და რომელმანც ასე გულ-უხვად მიიღო მაშინ მონაწილეობა ჩვენს მოწოდებაში, ეს საზოგადოება ახლაც დაეხმარება უბედურ ზაქათალას. ცეცხლის შედეგიც ხომ შიმშილია!

მსურველს თავის შესაწირავი პირდა-პირ „დროების“ რედაქციის სახელობაზე შეუძლიან გამოგზავნოს.

***

ამ 1876 წელს, დიდის მთავრის ნამესტნიკის დამტკიცებით, თფილისის გუბერნიის შემდეგს ადგილებში უნდა მოხდეს გამიჯვნა:

1) თფილისის უეზდში: ა) გაიმიჯვნება: ალავარი ხრამის წყლის მხარეს, ყოშაქილისა, შეისულანი, ბინაძორი, დიდ და პატარა შულავერს შუა მიწები: ბ) მამულები საცხენისს, შჯარმას, ახმეტას თავად ჩოლაყაშვილებში და მათ მონაწილეებში, ყარაახი, თაქალი, ბორუმა და შკანგორა, არუხლუ, ენაგეთის ნაწილი — ყორღანაშვილებში, ვარანცოვკა, ტაშირი, ჯიყგა — თავად სარდლიანთ ორბელიანებში, ჭრეში — თალა, ხუნძურთალა და საელიოზოშვილო — თავად თარხნიშვილებში; ცარიელი ადგილები: არაბათალა, პალანტოკიანი, ხუჯაბა, შრუთი, ხუდიბინა, ბოლითალა, ლალვარის საძოვარი თავად მელიქიშვილებში და და მამულები ლაკის ხეობაზე; ბ) თფილისის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებით, განისაზღვრება სახნავი ადგილები მფლობელობის მიხედვით პატარძეულს და საგარეჯოს, და აღსრულებაში მოყვანილ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება და მორიგება.

2) სიღნახის უეზდში: ა) გამიჯნულ იქნება: ბურჯაანი და სხვა მამულები თავადთა ანდრონიკაანთა და სხვათა მონაწილეთა და ბ) დაყოფილ იქნება ზიარის მამული და აღსრულებაში მოყვანილ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება და მორიგება.

3) ბორის უეზდში: მტკვრის მარჯვენა მხარე გამიჯნულ იქნება საციციანო, დაიწყობა შინაგან გამიჯვნით ხვედურეთიდამ და შემდეგ დასავლეთის მხარეს გადავა მტკვარ მარჯვნივ თფილისის და ბორის უეზდის შუამდებარე მთამდის, და აგრეთვე დაიყოფა სათარხნო მამული. მტკვარ მარცხნივ მხარეს გამიჯვნა დაიწყობა სოფელ ტეზერიდამ და სურამის მთის ქედამდის მივა ჩრდილოეთ და დასავლეთ ქართლის და იმერეთის შუამდებარე მთამდის. ამავე ადგილს შინაგანი გამიჯვნა იქნება საამილახერო მამულებისა; ამას გარდა გაიმიჯვნება ის ადგილი, რაც ფოთი-თფილისის რკინის გზას უჭირავს ქალაქიდამ სურამამდის, აგრეთვე პლანის აღება იქნება სააბაშიო მამულში სურამს იქით, შორაპნის უეზდში ქუთაისის გუბერნიაში და პლანის აღების შემდეგ აქავე გამიჯვნა დაიწყება.

4) დუშეთის უეზდში: ა) გაიმიჯნება ქალაქ დუშეთის ადგილები; ბ) დაიყოფება მამულები: ქსოვრისი, ჭონთილი, წილკანი, მისაქციელი, ლამი და ნატახტარი და აგრეთვე ამ უეზდის ყველა გამიჯნული ადგილები გაიყოფება გარდა ჭოპორტისა და ბოდორნოსი; ბ) აღსრულდება განყოფა მამულებისა: საგურამოს, ტანუანთ ქარის და სასამართლოს გადაწყვეტილობა: ჭოპორტს, ახატანს, საშაბუროს, დამპალას, ბოდორნას, ბოროვანს, ქინძარას, ჭილურტს, ილტოზას და საანანიაშვილოს.

5) თიანეთის უეზდში: ა) აღსრულებაში მოყვანილ იქნება განყოფა საჭავჭავაძო მამულისა ყვარლის თავად ჭავჭავაძეებში, ბ) განიყოფება სხვა მამული წინანდლის ჭავჭავაძეებს შუა და ბ) გაიმიჯნება და განიყოფება ბოჭორმას მამულები.

6) თელავის უეზდში: ა) აღსრულებაში მოყვანილ იქნება სასამართლოს გარდაწყვეტილება რუისპირის-იყალთოს მამულების შესახებ; ბ) განიყოფება ალმატის მამული და ბ) ახლად გაიმიჯნება მამულები: ქვემო-ხოდაშენი, ბუშეთი, ვანთა, აკური და ვაჩნაძიანი.

***

უმაღლესი ბრძანების ძალით, თფილისის ღუბერნატორად დაინიშნა სტავროპოლის ადრინდელი ღუბერნატორი კამერგერი და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ბარონ ოსტენსაკენი.

სტავროპოლში ღუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელად დაინიშნა პოლკოვნიკი ფონ-დენი.

***

ჩვენ ჩაგვივარდა ხელში სია ყველა იმ სახლებისა და ადგილებისა, რომელიც მეპატრონეებს სასულიერო სასწავლებლისთვის შეუძლევიათ გასასყიდლად. ამ სიიდამ სჩანს, რომ 30 სახლი გამოჩენილა გასასყიდი და ყველა ესენი დაუთვალიერებია და გაუსინჯავს იმ კომისიას, რომელიც ამ საქმისთვის ყოფილა შემდგარი. (კომისიას შეადგენდა: ორი წარმომადგენელი სამღვდელო წოდებისა, დეკანოზები: ნ. არდაზიანი და პავლიევი, არხიტექტორი — ჩიჟოვი და სასწავლებლის ზედამხედველი — სტახოვსკი). კომისიას, როგორც ზევით მოგახსენეთ, განუხილავს ყველა ეს შენობები და გადაუწყვეტია, რომ, იმის აზრით, ოთხს სახლში ერთი-დაერთი გამოდგება და უნდა იყიდოს სასულიერო წოდებამ თავის შკოლისთვისაო: ან დეკანოზის ბასხაროვის, ან ფრიდრიხ მადერისა, ან ფრანც ტიტელისა და ან პოლკოვნიკის მაროზოვისა, რომელთაგან არცერთი არა ღირს 39 ათასს მანეთზე მეტადო. ამ ოთხ სახლშიაც, კომისიის ჰაზრით, ბასხაროვის სახლები სჯობია; და ამის გამო გადუწყვეტია, რომ ეს სახლი იყიდონ.

რაც ამას წინათ გამოვაცხადეთ ამ საგნის თაობაზე, ახლაც იმაზე ვდგევართ. მ. ბასხაროვის სახლში მიცემული ფული დაკარგული ფული იქნება, რადგან ის სახლი სულობით არ გამოდგება შკოლისათვის, დასანგრევი იქნება, და ამნაირად შკოლისათვის სამღვდელო წოდებამ ახალი ვალი უნდა აიღოს ხაზინიდამ.

აქ მოხსენებულ სახლებს გარდა, სიაში მოყვანილია კიდევ უფალი სოკოლოვის სახლი (40 ოთახი, ბაღი, წყალი და სხვა მოწყობილობა), რომელსაც კომისიამ ერთი წუნი უნახა, ქალაქს გარეთ არისო; არის კიდევ ალელოვის სახლი (80 ოთახი), რომელიც კომიტეტმა იმით დაიწუნა, რომ ამ ადგილას ქარი იცის და მზე მოადგებაო (?).

საზოგადოდ ეს საქმე ძალიან დახლართულია ძარგი იქნება, რომ სამღვდელობის ფულებს წინდაუხედავად არ მოექცეოდნენ...

უიმისოთაც ჩვენ ღარიბ სამღვდელოებას ტყუილ-უბრალოდ მომეტებულს ხარჯში არ შეიყვანდნენ.

***

ამ თვის 6-ს თითქმის ნახევარი ქალაქი ერივანი წყალს წაულეკავს; სახლები გაუფუჯებია, ბევრი მაღაზიები და საქონელი წაუხდენია.

***

„სასოფლო ბაზეთის“ მერვე ნომერი, 30 აპრილის, რომელიც ამ თიბათვის 4-ს გამოვიდა, გვაცნობებს, რომ ტყვიავის სასოფლო ბანკის წესდება მინისტრმა დაამტკიცა და მაისის 5 გაიხსნაო. ქართლში ეს მეორე ბანკი არისო (ერთიც ოძისის).

ამას გარდა ამ მოხელე ხანში გაიხსნა სასოფლო ბანკები ქახეთისკენ: საგარეჯოს, ყვარელს და ნაფარეულს.

***

ქუთაისიდამ შემდეგ მუშტი-კრივის ამბავს იწერებიან „თფილისის მოამბეში“:

„ამ დღეებში კენჭით გაშავებულ. თ. მამია ბურიელის ერთმა ძმამ, თ. ტელემაკმა სცემა თ. დავით ბურიელს იმისთვის, რომ ამან იმის ძმას შავი კენჭი ჩაუგდო, როდესაც საადგილ-მამულო ბანკის დირექტოროობაზე კენჭს იყრიდა. ბალახულმა იმ დღეს თითქო გულგრილად მოითმინა ეს შეურაცხყოფა, მაგრამ მეორე დღეს, საღამოს, თ. ნ. წერეთელთან, როდესაც ერთი ლამაზი ქალის ფორტოპიანოზე თამაშს უყურებდა ყველა, ამ დროს თ. დ. ბურიელი მივარდა მამიას მეორე ძმას, ჯაბას და თავი გაუტეხა. მამიამ გამოითხოვა თ. დავითი მაგრამ ამის ნაცვლად ვიღაც სხვა აპირებს კმაყოფილების მიცემას.“

„დროების“ კოროესპონდენცია

ხონი, ივნისის 2. ბასულს აპრილს მოვიდა დაბა ხონს ერთი ციმბირიდამ გამოქცეული კაცი, რომელიც თავის სიტყვით გვარათ ჩარექოვია და აცხადებს, რომ ამ სამი წლის წინ მე ვიყავი კუდიანიო, მაგრამ ორმა კაცმა გამომტეხესო; ეხლა კი კუდიანების ცნობა, ექიმობა და მკითხავობაც კარგათ ვიციო.

სოფლის გაუგებარი, ყრუ ხალხი მიდის ამ კაცთან და აკითხვინებენ მათს საქმეს და აქიმობისთვის წამალს სთხოვენ ხოლმე. ბევრი წამლებიც მისცა ხალხს და ბევრი კუდიანებიც აღურჩია; სულ ყველაფერი ამის ოინები რომ აგიწეროთ, ერთობ შორს წავა; ამის გამო ეხლა ამის უკანასკნელ მოქმედებას მოგახსენებთ:

ერთს სასწაულს აპირობს, თუ დარი დაუდგა და მოახერხა: ქაღალდი გაუკეთებინებია ერთი კაცისთვის და ხელს აწერინებს ხალხს; ერთი დღე დაუნიშნავს და იმ დღეს მობრძანდეს მთელი ხალხიოო და ვინც კუდიანები არის, აღმოვაჩენო. თუ ამ წერილზედ ხელი მოაწერე და იმ დღეს იქ მიდი, ხო მასხარა გახდი და თუ კი ხელი არ მოაწერე, მთელი ხალხი გეტყვის:—კუდიანი ხარო, თორემ ხელს რათ არ აწერო! ბევრი ცხვარი-ხალხი გაკრიჭა და კიდევ გაკრეჭს იმ სასწაულის ქმნამდინ და მერმე კიდევაც გაიპარება სადმე: გაპარვაში კი, როგორც ეტყობა, მარდია.

ამ კაცმა თავის ექიმობითა და მკითხაობით ათას მანეთამდინ ფული შეაგროვა და თუ კიდევ ერთი ორი თვე დარჩა ამისთანა ყრუ ხალხში, ორი ამდენის პატრონი გახდება. ამხდარა და კიდევაც ხდება ჩვენებური არეკი: „სოფელი დუმაა, მოთალე და სჭამეო.“

მ. დ. ბულბულაშვილი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი. ბუშინწინ თფილისში მოვიდა დეპეშა, რომელმანც შეგვატყობინა, რომ ამ თიბათვის 4-ს ერთს ოსმალოს აფიცერს სამხედრო მინისტრი—ჰუსეინ-ავნი-ფაშა და გარეშე საქმეების მინისტრი—რაშიდ-ფაშა მოუკლავს რევოლვერით დიდი ვეზირის მიჰტად-ფაშის სახლში; ამათ გარდა ამავე აფიცერს ზღვის მინისტრი დაუჭრია და ერთი აფიცერიც და სალდათიც კიდევ მოუკლავს. ამბობენო, რომ ამ ყველაში პოლიტიკური არაფერი ურევია, რაღაც ჯავრი ჰქონია ამ კაცს ამათი და იმიტომ მოუკლავსო. ბუშინ ჩვენს ქალაქში მოსულმა დეპეშამ გვაცნობა, რომ ამ მინისტრების მკვლელები მთავრობამ ჩამოაღრჩოო. სეფტედ-ფაშა გარეშე საქმეების მინისტრად დაუნიშნავთ და აბდულ-ქერიმ-ფაშა სამხედრო მინისტრად.

—

სერბია. ათინიდამ მიღებული ტელეგრამმა გვატყობინებს, რომ ამ თიბათვის ხუთს ოსმალოს წინა-ჯარს დაუჭერია ალაგები ნიშსა და სერბიის სამზღვარს შუა, და ოსმალოსა და სერბიის ჯარები მხოლოდ თოფის სროლის მანძილზედ არიან ერთმანეთზე დაშორებულიო.

—

საფრანგეთი. ბაზეთებში იყო ამას წინათ დაბეჭდილი, ვითომც ახლანდელ სამინისტროს გამოეცხადებინოს, რომ, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტმა მარშალ მაკ-მაჰონმა ბიჰუფეს მხარე დაიჭირა, როცა ის კენჭს იყრის სენატორათაო, სამინისტრო იძულებული იქნებაო, რომ სამსახურს თავი დაანებოსო. ახლა მოვიდა ამბავი, რომ ბიჰუფე სენატს საუკუნო სენატორად ამოურჩევია, მიცვალებული მინისტერ-სენატორის რიკარის ადგილზე; მაგრამ ჯერ კი არ ვიცით—შეასრულა სამინისტრომ თავის სიტყვა თუ უბრალო მუქარით დაკმაყოფილდა?

წარსულ საუკუნის პოლიტიკის ამბავი

(ამოღებულია „ფრანკფურტის ბაზეთიდამ“)

ავტორიის გარეშე საქმის სამინისტრო არხივში იპოება დიდი ყურადღების მისაქცევი ამბები. ქვემოხსენებული ცნობები მაინც მეტად საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველებისთვის. ეს არის ავსტრიის საზღვარ გარეთის მინისტრის ქაუნიცის წერილებითგან ამოღებული ამბები რუსეთსა და ოსმალეთს შუა პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე წარსულს საუკუნეში. ქაუნიცი იყო 1768-1775 წელს ავსტრიის გარეშე საქმის მინისტრათ. აი რასა სწერს ის 18 მარტიდამ 1768 თავის ელჩს ქოსტანტინოპოლს მონტენეგროს (ჩერნოგორიის) განდგომილებაზე, რომელიც მაშინ მოხდა:

„ოსმალომ რომ რუსეთის ელჩს „მემორანდუმი“ გადასცა, იქიდან სჩანს, ვითომც მონტენეგრელები რუსეთისგან იყვნენ განზრახებულნი ოსმალეთის წინააღმდეგობაზე. . . .“

მოლდაველებმა და ვალახელებმა დაიწყეს მალე წინააღმდეგობა და ბოლოს ომიც გამოუცხადეს ოსმალეთს.

მონტენეგრები იმდენათ გადიდგულდენ, რომ რაგუზის რესპუბლიკას ძალა დაატანეს, ჩვენთან ერთად იმოქმედეთო ოსმალეთის წინააღმდეგ და რუსეთის ფლოტს გაუღეთ თქვენი ნავსადგურებიო, თორემ შემოგესევით და სულ აგაფორიაქეფთო.

ქაუნიცის წერილები შეეხება აგრეთვე მაშინდელს პრუსიისა და ავსტრიის ერთმანეთის დამოკიდებულებას.

როგორც ქაუნიცის დეპეშა 1770 წელს 6 თებერვლის გვაცნობებს, პრუსიის კაროლს მიუწერია ხვანთქრისთვის: მე ვიქნები თქვენსა და რუსეთს შუა შუამავალი, რომ ომიანობა არ ატყდესო; მაგრამ ხვანთქარს უარი უთქვამს ამ სიტყვებით: „ახლა არ არის საჭირო ეგ შუამდგომლობა და თუ როდისმე მაგნაირი შემთხვევა მომიხდა, დარწმუნებული იყავით მე ჩემს გაჭირვებას სხვებზე უმალ პრუსსიის კაროლს განვუცხადებო.“

20 მაისს სწერს ქაუნიცი: მე სარწმუნოთ ვიციო, რომ ლატიცკი-ფაშა, სულთანის ძალიან სანდო კაცი, ამასვე დიდ ვეზირთან მიუგზავნია და რამდენიმე მილიონის ღირებული ძვვირფასი თვლები, ალმასები, თან გაუტანებიაო, რომ ამით იმან ობრესკოვი და ღენერალი რომანოვი სულთანისკენ მოიბიროს და იმან სულთანთან წინ-და-წინვე შერიგების პირობები შესკრასო; მაგრამ იმათ არ მიუღიათ.

შესანიშნავია, რომ მაშინდელი სულთნის ხაზინა ასე მდიდარი ყოფილა ახლანდელთან შედარებით. აი, ამის შესახებ რასა სწერს 1771 წელს ავსტრიის ელჩი ტუგუტი ქოსტანტინოპოლიდამ ქაუნიცს: დიდმა ვეზირმა გააგებინა პრუსსიის კაროლსო, თუ რამე ნაირანად ოსმალეთის პლანის ასრულებას მოეხმარება რუსეთის წინააღმდეგო, ძალიან დიდს ჯილდოს მიიღებთო ოსმალეთის ხაზინიდან. ის კი არა თურმე თვითონ ტუგუტთან ჰქონია დიდ ვეზირს რჩევა: კარგა დიდი სუბსიდია რომ შევაძლიოთ პრუსიას, იქნება იმან აღარ დაიჭიროს რუსეთის მხარე და ჩვენსკეს გადმოვიდესო; თავისის მხრით ავსტრიაც მიიღებდა ოსმალეთისაგან ათს მილიონ პიასტრს სუბსიდიას წელიწადში და ვალახიის ნაწილს, ისიც თუ ოსმალოს მიემხრობოდა რუსეთის წინააღმდეგ. როცა ომიანობა გათავდა და ოსმალეთსა და რუსეთს შუა შერიგება დაიწყეს, რუსის ელჩმა ორლოვმა გამოუცხადა დიდი კეთილ-დღეობის სურვილი ავსტრიის სახელმწიფო დინასტიას და პრუსიის კაროლი კი ზიზღით მოიხსენა. 1772 წ. 5 სექტემბერს სწერს ტუგუტი: იმან (ორლოვმა) განიმეორაო ის სიტყვები, რაც ადრევე უთქვამს: ძალიან სამწუხაროა, რომ ავსტრიასა და რუსეთს შუა უთანხმოების გამო პრუსიამ ამდენი მიწა-წყლის შეძენა მოახერხაო, რომ რაც რუსეთს და ავსტრიას პოლშის ნაწილები ხვდა, პრუსიის ხვედრს ნაწილს ისტორიული მნიშვნელობით ვერც კი უდრიანო. თვითონ რუსეთის იმპერატრიცასაც არ დამალვია ეს გარემოებაო, მაგრამ ისეთი პოლიტიკური დამოკიდებულება იყო მაშინ ავსტრიასა და რუსეთს შუა, რომ იმპერატრიცას არ შეეძლო პრუსიის პროექტი პოლშის დაყოფაზე არ მიეღოვო.

„მე ამ შემთხვევაში—ამბობს ბუგუტი—ცეცხლზე ზეთი დავასხიო და ესეც გავაგებინეო, ერთხელ მაინც რომ ვინმე საფუძვლიანათ გაარჩიოს ამ ორივე საიმპერატორო კარის საქმეები, გარეშე პოლიტიკის შესახებ, დარწმუნდება, რომ იმათი უთანხმოება მომეტებულ ნაწილათ პრუსიის კაროლის ინტრიგობის ბრალიაო.“

აი, კიდევ რასა სწერს ქაუნიცი 1775 წლის 6 იანვრის დეპეშით ოსმალეთის შესახებ: „ახლანდელი მდგომარეობა ოსმალეთისა და იმის წინა დროება სულ სხვა და სხვაა. მართალია, რომ ქვეყნიური საქმეები მოულოდნელ და წინათ მოუსაზრებელ გარემოების ქვეშ იმყოფებიან და როგორ გათავდებიან, წინათ ვერავინ იტყვის; მაგრამ შორს გამსჭვრეტი კაცი აქედანაც დაინახავს ამას: როცა ოსმალეთი თავის ცუდი შინაური გამგეობის გამო სულ ასე უკან-და-უკან იწევა, შეიძლება კაცმა გარკვევით თქვას, რომ ადრე თუ გვიან ამ [illegible] ნაწილში დიდი რევოლიუცია მოხდება. მარტო ამ გარემოების გამო არ უნდა გაერიოს ავსტრია არც ერთს იმ გვარს ოსმალეთის საქმეებში, რომელნიც ამჟამად ბევრს სარგებლობას ვერ მოუტანენ და მომავალში საქმეს წაუხდენენ. ჩვენი (ავსტრიის) საიდუმლო პოლიტიკა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ოსმალეთი რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს ევროპაში ხელშეუხებლათ და თუ იმის დამხობა მიუცილებელი შეიქნა, მაშინ ავსტრიამაც უსათუოდ უნდა მიიღოს ერთი იმის დიდი ნაწილიო.“

ეჭვი არ არის, ქაუნიცის შეხედულობას ანდრაში კარგათ შეისწავლიდა.

განცხადებანი

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ნაშუადღეის 1 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი ტელიაჭუსი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., მაკოვსკი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ბრაბოვსკი—ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაჭუსი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფ. და ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. და მაკოვსკი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ყმაწვილ კაცს, რომელსაც მეოჯხაობა შეუსწავლია სამზღვარ გარეთ, სურს მამულის მართველის ადგილი იშოვოს.

დაწვრილებით პირობები შეიძლება შეიტყოს „დროების“ რედაქციაში. (3—2)

შფ. სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ქართული

სახარება

ფასი—ერთი აბაზი

ეს სახარება რამდენიმე ათასი იბეჭდება, წმინდა ასოებით, თეთრს ინგლისურს ქაღალდზე. მსურველს შეუძლიან პირ-და-პირ სტ. მელიქიშვილის სტამბიდამ დაიბაროს. გამოსვლისათანავე, ყველა ჩვენს უეზდის ქალაქებში და ზოგიერთ სოფლებშიაც გაიგზავნება გასასყიდლად.

(3—2)

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი სამშობიარო ლოშპიტლით

(ვერაზე, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დროს დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ლოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ყოველ დღე დილის 8 საათი დამ $9^1/_2$-მდი დოქტორი არტემიევი და $9^1/_2$-დამ 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ალბანუსი და ქაპპელერი.

ოთხშაბათობით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რის ბუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყვების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველ-გვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინ-ჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალმივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

ბამომგონი პასუხს აგებს.

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

პრეის-კურანტი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინ-ჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. ქედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ.

დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.

უმთავრესი დეპოარის თფილისში, დეორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპეკტზე. ლებედევის სახლში; სტავროპოლში—ქურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. ამავე ისყიდება თმის სალებავი. 54—20

ათასი პირი, ქალი და კაცი თავისის მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოთ სამზღვარ გარეთ ვაჭრობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მცენარეობითს ქინო-ბლიცერინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. ეს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს ქიმიის პროფესორისა ლანდგერიხტთან დანიშნულისა, ვენაში, უ. ქლესჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველი და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსელეპილი თავიც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია.

ყველა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ვიქონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

ყოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

პომადა „PASTA EUGENIE“

ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Evgenie ისყიდება თფილისში ლანკოს მუზიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში — სეგალთან და სტავროპოლში ქურილჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა.

ეს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, ჭორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიშავე სრულიად იკარგება და მსწრაფლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. ყველაზე უფრო ეს პამადა იმათთვინ არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისახე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი, არის ვენის ქიმიის პროფესორი ქლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავა რობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს.

ყოველ პამადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დაღი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის მოწერა. ყიდვის დროს ამას ყურადღება მიაქციეთ.

P. S. პამადა „Pasta“ გამოსადეგია აგრეთვე იმათთვის, ვისაც ხორცის კანის ავათმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხორცის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელებზე და ყელზე. BERTHAE RIES.



ხელის პამადა

ეს პამადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოთ ღრმა მოხუცებულებაში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის სალებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ტოკაის ბალზამი—საშუალება მ ზოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54—19

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	36	4	54				
მცხეთა	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა	—	—			5	81	3	23
ქუთაისი	8	23			6	75	3	75
სამტრედია	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი	—	—			8	57	4	76
ფოთი	11	44			9	75	5	42
ფოთი	8	40						
ახ.-სენაკი	—	—			1	18	-	66
სამტრედია	—	—			2	6	1	14
ქუთაისი	11	51			3	4	1	69
ყვირილა	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 4 თიბათ.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 334 სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	100	25
მოგებიანი (პირველისესხი)	203	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	201	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	94	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	—
მოსკოვის (5%).	86	75
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	172	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	530	—
ქავკაზის და მერკურის.	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 8 თიბათ.		
პური შორაგალის ფთ.	—	80
ქერი ფუთი.	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი	5	50
—ამერიკისა, ფუთი.	6	30
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	7	50
—თარაქამისა ფთ.	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი.	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
—ცხვრისა, ლიტრა.	—	70
სპირტი, ვედრო.	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი	7	10
—ფხვნილი ფუთი	6	—
ყავა გრგვალი ფუთი	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი.	6	18

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюня 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.